განკარგულება:**g-27. 27241792**
თარიღი:**27/06/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 37

27 ივნისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - გაზსადენი მილის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 05 ივნისს შემოვიდა შ.პ.ს. „თელავგაზის“ წერილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჩურში არსებული 6165.49 გრძ.მ (ფაქტობრივი სიგრძე 6482 მ.) გაზსადენილი მილის (საკადასტრო კოდი 53.00.910) იჯარის ფორმით სრგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებთ.

ზემოაღნიშნული გაზსადენი მილის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, შ.პ.ს „თელავგაზი“ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის გაზიფიცირებას, აგრეთვე საიჯარო ქირის შემოსვლით გაიზრდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრა გაზსადენის მოწყობის სამუშაოების ღირებულების (335,462.86 ლარი) არანაკლებ 5%-ით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების ამ ეტაპზე სხვა მიზნით განკარგვა არ არის დაგეგმილი, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს „თელავგაზს“ (ს/ნ 431437082) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით **5 (ხუთი)** წლის ვადით გადასცეს სოფელ ლეჩურში არსებული 6165.49 გრძ.მ (ფაქტობრივი სიგრძე 6482 მ.) გაზსადენილი მილი (საკადასტრო კოდი 53.00.910).

2. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **16800** (თექვსმეტი ათას რვაასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი